572
1957

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# დილა

„ჰყვაოდი, ტურფა ქვეყანავ,
ილხინე, ივერთ მხარეო,
და შენცა, ქართველო, სწავლითა
სამშობლო გაახარეო!“

№ 12

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის
ჟურნალი მცირეწლოვანთათვის

დეკემბერი
1957

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ქალაქი გორი

გორი მველთამველი ქალაქია. თუმცა ახლა მის დიდ, ლამაზ ქუჩებსა და შენობებს თუ ნახავთ, ამას ძნელად დაიჯერებთ, ისე არის განახლებული.

ძველი ამბების ერთადერთ მოწმედ მხოლოდ გორის ციხე დარჩა. აი ის ციხე, რომელზეც ალბათ ბევრი რამ გსმენიათ; მას რომ ლაპარაკი შეეძლოს, უთუოდ მოგიყვებოდათ, რა გადახდენია თავს, გორი ხომ გზაჯვარედინზე მდებარეობდა და შემოსეულ მტერს ზედ უნდა გაევლო. ჰოდა, ამიტომაც მრავალჯერ დანგრეულა გორი და მრავალჯერ ხელახლა აუშენებიათ ის ქართველებს.

გორი წინათ ასეთი დიდი როდი იყო. მთელი ქალაქი ციხის ძირას იყო მიყუჟული, რადგან მის მფარველს გორის ციხე წარმოადგენდა. როდესაც მტერი შემოესეოდა, მოსახლეობა ციხეს აფარებდა თავს.

აი, რა მოხდა ერთხელ, როდესაც ოსმალებმა გორი აიღეს და გორის ციხეში დაბანაკდნენ; ქართველების ჯარმა ალყა შემოარტყა ციხეს, მაგრამ ცხრა თვის განმავლობაში ვერ იქნა და მტერი გარეთ ვერ გამოიტყუა.

მაშინ ქართველებმა ასეთ ხერხს მიმართეს: დაიძრა მთელი ჯარი და იქაურობას გაეცალა. ოსმალებს გაეხარდათ ეს ამბავი და ქეიფსა და დროსტარებას მიეცნენ ციხეში. ქართველებმა კი ამ დროს უამრავი კიბეები დაამზადეს და ერთ ბნელ ღამეს, როცა ოსმალებს ეძინათ, ხმაამოუღებლივ მიეპარნენ ციხის კედელს, უჩუმრად მიადგეს კიბეები,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გალავანზე გადავიდნენ, მტერს თავს დაესხნენ და სამარცხვინოდ გააქციეს.

გავიდა ხანი. აღარ დამრწოდა გარეშე მტერი ჩვენს ქვეყანაში, სამაგიეროდ შინაური მტერი ბევრი დარჩა, რომელიც მშრომელ მოსახლეობას ზურგზე მძიმე ტვირთად აწვა. ხალხის თავისუფლებისათვის სხვებთან ერთად იბრძოდა ქალაქი გორიც. გორის სასწავლებლებში გაიზარდნენ ჩვენი შესანიშნავი ადამიანები: იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ლომოური, დანიელ ჭონქაძე და სხვები.

როდესაც მთელს ქვეყანას რევოლუციური ტალღა მოედო, გორი აქაც არ ჩამორჩა სხვებს და მრავალი შესანიშნავი რევოლუციონერი მისცა ქვეყანას.

გორში დაიბადა და გორის სასულიერო სასწავლებელში სწავლობდა იოსებ სტალინი. აი, ის პატარა სახლიც, სადაც დაიბადა იგი, სადაც პირველად იგრძნო გლეხის და მუშის მწუხარე ბედი და გადაწყვიტა მათთვის ეშველა; ხოლო იმ დიდ მუზეუმში, რომელიც ქვემოთ ხატია, სტალინის ცხოვრებისა და ბრძოლის ამბავი ინახება.

78269

რევოლუციამ გაიმარჯვა.

გორი ახლა ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთი ლამაზი ქალაქია. ის გაშენდა და გაიზარდა, აქვს თავისი თეატრი, მრავალი სკოლა, პედაგოგიური ინსტიტუტი, ფაბრიკებმაც დაამშვენეს იგი.

აი, ასეთი კარგი ქალაქია გორი.

ნახატები 3. ჯაფარიძისა





ეროვნული ბიბლიოთეკა



ნინო ბეზარაშვილი

ღამით ისე ბარდნიდა, რომ მეორე დილით თოვლი მუხლამდე იდო. მთელი უბნის გოგო-ბიჭები გარეთ გამოიშალნენ. იციგავეს, იგუნდავეს და თოვლის პაპის გაკეთებას შეუდგნენ.

— კარგია, მაგრამ ვის გაუგონია ტიტველი პაპა? რამე უნდა ჩავაცვათ, — თქვა ბოლოს ხანდრომ.

გოგო-ბიჭები აქეთ-იქით გაიფანტნენ და მალე ძველმანებით

# ბრჭყვიალა კაკალი

დოდო ვადაჭკორია

ნახატი გ. როინიშვილისა

თამრიკოს ახალი კაბა შეუკერეს, მაგრამ ახალ წელს უნდა ჩაიცვაო, უთხრეს. დედამ და თამრიკომ დიდი მაღაზიიდან მუყაოს ყუთში ჩაწყობილი სათამაშოები მოიტანეს, მაგრამ რა!.. გააფრთხილეს, მხოლოდ ახალ წელს შეიძლება გახსნაო.

ბებოც ახალ წელს ჩამოვა.

ახალი წელი კი არ იქნა და აღარ მოვიდა. წინათ სოფლიდან ქალაქში ჩამოსვლას ერთი ღამე სჭირდებოდა, ახლა გზაც გაგრძელდა, თორემ ბებია რომ ჩამოსულიყო, ახალი წელიც მოვიდოდა.

როგორ უნდა თამრიკოს, რომ ერთი თვალით მაინც ჩაიჭყიტოს იმ სათამაშოების თავდახურულ ყუთში! ბრჭყვიალა ბურთებს კი მოჰკრა თვალი, სხვები?

აგერ, ვიღაც შემოვიდა კარებში. რა ამბავია, თურმე ბებიას არ ეცალა და ხურჯინით საჩუქრები გამოუგზავნია.

თამრიკო ხურჯინს მიუჯდა. რა არ ამოალაგეს იქიდან: თეთრად დაშაქრული ჩურჩხელები, თავჩახვეული ტკბილიკვერები, შავხალება მსხლები და კრიალა წითელ-ყვითელი ვაშლები. ჩირები?—ლეღვისა, ვაშლისა, ატმისა და კიდევ ვინ მოთვლის! თამრიკომ თხილი ამოყარა და რაღაც მოხვდა ხელში. უჰ! რამოდენა კაკალია, პირდაპირ გოლიათია. ნაჭუჭიც როგორი მაგარი აქვს!

დედა საქმეში გაერთო.

თამრიკომ ჩურჩხელას კუდი მოაკვნიტა, მსხალს უკბიჩა, ტკბილიკვერს კუთხე წაახია, მაგრამ ისევ ბრჭყვიალა სათამაშოები მოაგონდა და ყუთს დაუწყო ტრიალი.

დედამ რომ გაუგოს, უსათუოდ დატუქსავს, მაგრამ ხელები არ ეკითხებიან თამრიკოს, თვითონ ხსნიან ყუთს.

როგორ სათუთად ჩაუწყვიათ თითოეული სათამაშო. ბამბებშიც კი შეუხვევიათ: აი, წინსაფრიანი კურდღელი, შარვლიანი თრითინა. აი, კაკალი! რა ბრჭყვიალაა, ვერცხლისფერია, თითქოს ნამდვილია! ჭახ! დაიფშვნა უცებ კაკალი!

რა უნდა ქნას თამრიკომ? ნამცეცები უკანვე ჩააბრუნა ყუთში, ზედ ბამბა დააფარა, მაგრამ დედამ ხომ იცის, რამდენი სათამაშოა ყუთში, დედას არაფერი ავიწყდება.

გოლიათი კაკალი!.. მოაგონდა თამრიკოს. აი, იმას შემოახვევს ვერცხლისფერ ქაღალდს და შუშის კაკლის ნაცვლად ჩადებს. გოლიათ კაკალს შოკოლადის ქაღალდი შემოახვია, გაასწორა, ცერის ფრჩხილით გააკრიალა, ბამბაშიც შეფუთნა და ყუთში სწორედ იმ ადგილას ჩასდო, სადაც ის კაკალი იყო.

განა მიუხვდება დედა?!

ახალი წელიც მოვიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ყალიონი

დაბრუნდნენ; ჩააცვეს, დაახურეს თოვლის პაპას, იღლიაშიც დიდი კეტი ამოუდეს და იფიქრეს, მეტი აღარა უნდა რაო.

— ყალიონიღა აკლია,— შენიშნა გიამ.

— ყალიონი? აბა სად უნდა ვიშოვოთ?—ჩაფიქრდა ყველა.

— რა ძნელი საშოვარი ეგ არის!—წამოიძახა ნუგზარმა და პატარა გოგონას მიუბრუნდა: —შენს პაპას ხომ აქვს, მაია, წადი და მოიტანე!

— პაპა არ მომცემს. ერთხელ დაეკარგა და სანამ იპოვიდა, წუხდა ძალიან,—თქვა მაიამ.

—ჩუმად წამოიღე!—ურჩია გიამ. მაიას თითქოს ჰკუაში დაუჯდა გიას სიტყვა და სახლისაკენ მოჰკურცხლა.

საქმე სწორედ კარგად იყო. პაპა გარეთ შეშას აპობდა. ყალიონი კი მაგიდაზე ს-ფერფლეზე იდო. მივიდა მაია და ხელი წაატანა, მაგრამ აღება ველარ გაბედა. გიამ რომ უთხრა— „ჩუმად წამოიღეო“, თითქოს ეადვილა, საქმე საქმეზე რომ მიდგა, გაუძნელდა. რა ექნა, არ იცოდა. აღებას ვერ ახერხებდა და გოგო-ბიჭებთანაც ხელცარიელი წასვლა არ უნდოდა.

— მოდი ვეტყვი, იქნებ მომცეს!—გაიფიქრა გოგონამ და პაპასთან მიიჭრა.

— პაპა, ჩვენი სახლის უკან დიდი თოვლის ბაბუა დავდგით და... შენი ყალიონი მინდა წავიღო.

— ერთი ყალიონი მაქვს, შვილო, ისიც რომ თოვლის პაპას წაუღო, მე რაღა დამრჩება?

— რომ შევპირდი,—ტირილი მოერია მაიას.

— ნუ გეშინია, სხვა ყალიონს გიშოვი, შენ მხოლოდ სხვენზე ახტი და პატარა ბროწეულები ჩამომიტანე.

მაიამ სხვენიდან სამი პატარა ბროწეული ჩამოიტანა. პაპამ ერთი ყველაზე ლამაზი ბროწეული შეარჩია. შემდეგ ჯიბის დანით ფიჩხებიდან ჯოხი გამოჭრა. ბროწეული ზედ წამოაცვა და მაიას გაუწოდა.

— ხომ კარგი ყალიონია! ჩემს ბავშვობაში ასე ვაკეთებდით ხოლმე!

როცა მაიამ ყალიონი მიურბენინა, ბიჭებმა ერთმანეთს შეხედეს. თვალში არ მოუვიდათ ყალიონი, მაგრამ თოვლის პაპას მაინც გაუკეთეს.

თოვლის პაპას ისედაც გაბერილი ლოყები ჰქონდა და ბროწეულის ყალიონი ისე დაშვენდა, კაცს ეგონებოდა, ყალიონს თვითონ პაპა ბერავსო.



ნაძვის ხე მორთეს. თამრიკომ გოლიათ კაკალს თვალი მოჰკრა. თითიც კი გაჰკრა. ნაძვის ხის ქვეშ რკინიგზა გამართეს. ჩართავდნენ თუ არა დენს, სასაცილოდ გარბოდნენ ვაგონები, გვირაბშიც ქვრებოდნენ, ხიდზე გადადიოდნენ. მერე პაწია ელმავალი შეჰკივლებდა და სადგურთან გაჩერდებოდა.

გოლიათი კაკალი კი ხის ტოტზე დინჯად ირხეოდა.

თამრიკოს ამხანაგები ეწვივნენ. ყველა ცეკვავდა, მღეროდა.

ბოლოს, იცით, რა მოხდა?

დედამ გამოაცხადა—ახლა საჩუქრებს დავარიგებო. ნაძვის ხიდან სათამაშოებს ნელ-ნელა ხსნიდა და მისკენ ხელებგაწვდილ ბავშვებს ურიგებდა.

წითელი ბურთი ლიზიკოს შეხვდა. წინსაფრიანი კურდღელი—დიტოს, ტატოს შარვლიანი თრითინა ერგო...

როგორ მოსწონს თამრიკოს ის ყინულის ლოლუა... დედამ კი კაკოს მიაწოდა. მოცეკვავე გოგონა ნეტავ ვის შეხვდება?—ნანას ერგო.

აი, ჩამოხსნა დედამ ბრჭყვიალა კაკალი და... სწორედ თამრიკოს მიაწოდა.

მართლაც, დედას არაფერი გამოეპარება!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილია სიხარულიძე

## ავადმყოფი ციცო

ერთხელ დაწვა ცელქი ციცო,
თავი მოიავადმყოფა,
თქვა: „მურაბა მომიხდება,
მაგრამ ცოტა არ მეყოფა;
აი, ხედავთ? სიცხე მომცა,
ვიწვი ქალი, ისე მცხელა;
ექიმს სთხოვეთ, დამინიშნოს
ტკბილიკვერი და ჩურჩხელა;
ტკბილეული თუ მექნება,
რაღაც მინდა ქინაქინა!“
იჭიკჭიკა ასე ერთ ხანს
და შემდეგ კი ჩაეძინა.
და როდესაც გაიღვიძა,
წოლა აღარ გააგრძელა,
წამოფრინდა, ვისღა ახსოვს
ტკბილიკვერი და ჩურჩხელა!

ალექსანდრე ბეგაშვილი

## ახალი წელი

მოგილოცავთ ახალ წელს,
მოგილოცავთ პატარებს,
კარგი ბავშვის სახელი
კვლავ ამ წელსაც ატარეთ!

მოაქვს ახალ წელიწადს
სიხარული, ხალისი,
ნაძვის ხესთან ბავშვების
ჟრიამული გაისმის.

გალხენთ თოვლის ბაბუა,
გარს ეხვევით ხუყველა,
თქვენთვის არ ეშურება
ვაშლი, მსხალი, ჩურჩხელა.

მოგილოცავთ ახალ წელს,
მოგილოცავთ პატარებს,
კარგი ბავშვის სახელი
კვლავ ამ წელსაც ატარეთ!

## თვალი გინდა მოატყუო?

— შვილო გოგი, გენაცვალე,
ნუ აწვალებ მაგ ტიკინებს!
ცოტა ხანს თვალს მოვატყუებ,
დაღლილი ვარ, წავიძინებ.
— თვალი გინდა მოატყუო?
მატყუარა რომ იქნები?
არავინ არ მოატყუო,—
აბა, რატომ გვეუბნები?!

* * *

მამამ მხრებზე შეისვა
ციცქნა ბიჭუკელა;
უხარია ბიჭს, ამბობს:
—გავიზარდე ხელად!
მამა, ახლა გავიქცეთ,
მე არ წავიქცევი!
რა კარგია აქ, მაღლა!—
შენც ამოდი ზევით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გაჭირვების საღამო



ნ. არტიუხოვა

ნახატები ალ. გიგოლაშვილისა

მამა მივლინებაში გაემგზავრა. დედამ და ალიოშამ გააცილეს. მამას ჩემოდანი მიჰქონდა, დედას ალიოშა მიჰყავდა, მიჰყავდა კი არა, უფრო სწორად რომ ვთქვათ, მიათრევდა. სიარულის დროს წინ კი არ იხედებოდა ალიოშა, ხან მარცხნივ მიაბრუნებდა თავს, ხან მარჯვნივ, ხან კი უკან.

მამა ვაგონის კართან შეჩერდა და ალიოშა ხელში აიყვანა.

ახლა ალიოშა მაღლიდან დასცქეროდა ყველაფერს, მაგრამ უკვე აღარაფერი აინტერესებდა, რადგან ახლოს ხედავდა მამის სახეს, მის მოწყენილ თვალებს.

— მამა, შენი მივლინება შორს არის?

მამას გაეცინა.

— როგორ გითხრა? საკმაოდ შორსაა და დიდხანს ვერ გნახავ. აბა, შენ იცი, ჭკვიანად იყავი, დედას გაუფრთხილდი.

— როგორ?—შეეკითხა ალიოშა.

მაგრამ ამ დროს ყველა აჩქარდა. მამამ სწრაფად აკოცა ორივეს და ვაგონში შევიდა.

მატარებელი დაიძრა, თანდათან დაპატარავდა და ბოლოს სულ მიიმალა. ალიოშას და დედას გული დასწყდათ.

ალიოშას უნდოდა დედისათვის ეკითხა, როგორ შეესრულებინა მამის დავალება: დედას გაუფრთხილდიო. მაგრამ უცბად ყურთან რაღაცამ დაიწკრიალა. „ფრთხილად!“— დაუყვირა დედამ და ხელი ჩასჭიდა. ბაქანზე მიჰქროდა ჩემოდნებითა და ყუთებით დატვირთული საზიდი. მასზე მდგომმა მზიდავმა უკმაყოფილოდ გადაიქნია თავი და სულ ახლოს ჩაუქროლა დედას და ალიოშას.

მეტროში ესკალატორით რომ ჩადიოდნენ, ალიოშა ისევ გააფრთხილა დედამ,—მოაჯირს ხელი მოჰკიდეო, და თვითონაც მიეხმარა. ჯერჯერობით ისე გამოდიოდა, რომ ალიოშა კი არ უფრთხილდებოდა დედას, პირიქით, დედა უფრთხილდებოდა ალიოშას.

„იქნებ სახლში მოვიფიქრო რამე“,—გადაწყვიტა ალიოშამ. მაგრამ სახლში იგივე განმეორდა.



— წავიდეთ, შვილო, ხელები დაიბანოთ, ახლავე რძესაც გაგიცხელებ, ალბათ, უკვე გეძინება.

რძე ძალიან გაცხელდა, დედამ დაასხა ლამბაქზე და გასაცივებლად ფანჯრის რაფაზე დადგა. დედა დივანზე წამოწვა, ალიოშა პატარა სავარძელში ჩაჯდა. უკვე ეძინება და ლოდინი უძნელდება.

— დედა, მეძინება!

დედამ არ უპასუხა.

— დედა, რძე დამალევინე!

ალიოშამ ცოტა კიდევ დაიცადა, მაგრამ დედა ისევ სდუმდა. მერე მივიდა და ხელი წაავლო:

— დედა, დავილალე, მეძინება!

დედას ჩასძინებოდა. ბიჭმა თავი ობლად იგრძნო. ღრმად ჩაისუნთქა, უნდოდა მაგრად დაეყვირა, მაგრამ გადაიფიქრა. ოთახშიც ისეთი სიჩუმე იდგა, რომ ცოტა არ იყოს, შეეშინდა.

დედას ძალიან დაღლილი სახე ჰქონდა. ლოყა მუთაქაზე მიედო, ფეხები მოეკეცა, თითქოს სციოდა.

შეიძლება მართლა სცივა?! ალიოშამ იცის, რა უსიამოა, როცა ღამით საბანი გადაგეხდება; მაგრამ მოვა დედა და ყოველი მხრიდან ამოგიკეცავს ხოლმე. ალიოშას გაახსენდა წუხანდელი ღამე: დედა გვიანობამდე აუთოვებდა. მერე ჩემოდანთან ჩაცუცქული მამის ბარგს ალაგებდა.

— შენ როდისლა დაიძინებ? დაწექი, მე ყველაფერს მოვასწრებ,—ეუბნებოდა მას მამა.

ალიოშამ აიღო დიდი შალი, დედას ფრთხილად გადააფარა და გულმოდგინედ ამოუკეცა. მერე თითის წვერებზე შედგა და რძე გასინჯა. რძე ცივი იყო. მაგრამ მაინც აიღო ლამბაქი და რძე დალია.

ახლა საჭიროა საწოლის ბადის ჩამოშვება. ეს კი ძალიან გაუძნელდა. მხოლოდ ერთი კუთხე ჩამოსწია, სკამი მიიდგა და საწოლში გადაგორდა. მაგრამ სულ დაავიწყდა, რომ პირველად საჭიროა ტანზე გახდა; ყველაზე უფრო ფეხსაცმელმა გაუჭირა საქმე. ვერ იქნა და ზონრები ვერ გახსნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორი დამჯერენი არიან ისინი დედის ხელში, ხოლო ალიოშა რომ შეეხო, მაშინვე გადაიხლართნენ და კბილებით ძლივს დააცილა ერთმანეთს. ღამის პერანგი ბალიშქვეშ იდო. ძალიან კარგი, მაგრამ როგორ გაიძროს ლიფი, ღილები ხომ უკან აქვს შეკრული? ალიოშა შეეცადა, ხელებით მისწვდომოდა ზედა ღილს, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. შემდეგ შეეცადა, შეკრული ლიფი თავზე გადაეძრო. თავზე ველარ წაიძრო და ეგონა, ვიღუპებიო. უცბად რალაც მოხვდა მუხლზე. თურმე ღილი მოსწყდა... ახლა უკვე ლიფი ადვილად გადასძვრა. გაწითლებულმა და გაოფლიანებულმა ბიჭმა თავისუფლად ამოისუნთქა. რა კარგია ძილი! მერე რა, რომ შუქი თვალებში სცემს. დედასაც ხომ პირდაპირ თვალებში უყურებს ორი ნათურა: ერთი შუაგულ ოთახში ჰკიდია, მეორე საწერ მაგიდაზე დგას.

ალიოშამ ამოიხვნეშა, ხელახლა გადმოძვრა საწოლიდან, სკამი მიიდგა და შუქი ჩააქრო. მაგიდის ლამპას კი თავისი შარვალი ჩამოაფარა დედის მხარეზე. აქაც სკამი მიეხმარა. სამწუხაროა, რომ მამა ვერ გაიგებს, როგორი კარგი და მზრუნველი შვილი ჰყავდა დღეს. თვითონ ხომ ვერ მოუყვება, უხერხულია. ვერც დედა გაიგებს...

დედას კი სძინავს და ესიზმრება, რომ ალიოშას გაუხდელად ჩასძინებია დივანზე. „შესცივა“, — ფიქრობს დედა. როგორც იქნა, თავს ძალა დაატანა და თვალები გაახილა.

ოთახში ბნელოდა. სიჩუმე იდგა. შეშინებულმა დედამ მიმოიხედა. ალიოშა სად არის? ან ეს შალი ვინ დაახურა?

ალიოშას თავის საწოლში ეძინა, გახდილი იყო, საბანი ეხურა. ფანჯრის რაფაზე ცარიელი ფინჯანი და ლამბაქი იდგა; „იქნებ, რომელიმე მეზობელი შემოვიდა, ალიოშა ჩააწვინა, შუქი ჩააქრო და მაგიდის ლამპასაც ჩამოაფარა?“ მაგრამ რა ჩამოაფარა? დედას გაეღიმა. დაინახა ოთახში სასაცილოდ გაბნეული სკამები. აილო ლიფი, ღილებით შეკრული და უკულმა გადაბრუნებული. ჩაეცინა და კარს მივარდა. უნდოდა და ვისმესთვის მაინც ეამბნა, თუ რა შესანიშნავი, რა ყურადღებიანი ვაჟკაცი ბიჭი ჰყავს უკვე!

დერეფანში სიბნელე და სიჩუმე იდგა. მაშინ დედა დაბრუნდა ოთახში, შეაბრუნა პატარა შარვალი ისე, რომ შუქს ალიოშა არ შეეწუხებინა. მერე დაჯდა მაგიდასთან და მამას დიდი, სიამაყით და ბედნიერებით სავსე წერილი მისწერა.

თარგმნა ლეილა ხვიჩიამ.





# პინგვინები

შრ. ზარდალიშვილი

ნახატები მ. ფოცხიშვილისა

შორს, ძალიან შორს, ცივსა და ყინულოვან ზღვებში ცხოვრობს ერთგვარი ფრინველი. მას პინგვინი ჰქვია.

„პინგუს" ლათინურად მსუქანს ნიშნავს. პინგვინსაც ასე იმიტომ უწოდებენ, რომ მსუქანია და კარგი მადა აქვს.

პინგვინი საოცარი ფრინველია. ის ბევრ რამეში ჰგავს ადამიანს. ადამიანივით ფეხზე დადის, უფრო სწორად რომ ვთქვათ, — დაბაჯბაჯებს. მისი მოკლე ფრთები შორიდან ხელები გვგონება. გული თეთრი აქვს, ზურგი და ფრთები კი შავი. ისე რომ, როცა შორიდან უცქერი, იფიქრებ, თეთრი პერანგი აცვია და შავი ფრაკიო[1]. თავი მეტად დარბაისლურად უჭირავს. არავითარ შემთხვევაში არ აჩქარდება და თუნდაც გემზე ავიდეს, უცხო ხალხში, არ გაიკვირვებს, არ შეშინდება და თავის დარბაისლურ მიმოხვრას არ შეცვლის.

პინგვინის საყვარელი საჭმელი თევზი, ზღვის კიბორჩხალები და წვრილი ნიჟარებია. მაგრამ ტყვეობაში არც ვეშაპის ხორცზე ამბობს უარს, თუ მის ულუფას ზღვის წყალში ამოავლებთ.

უწყლოდ დიდხანს ვერ ძლებს და ზღვის მლაშე წყალს მალი-მალ ეტანება.

[1] ფრაკი—მამაკაცის სადარბაზო ტანსაცმელი.

სისუფთავის მოყვარულია და ხშირად ბანაობს ხოლმე ზღვაში. მაგრამ არ იფიქროთ, რომ თუ მის წინ სხვა პინგვინი დგას, გაუსწროს მას და ზღვაში ჩავიდეს.

პინგვინები მეტწილად საბანაოდ ერთად დადიან. ჩამწკრივდებიან ზღვის ნაპირზე და სანამ ერთი რიგი ბანაობს, მეორე რიგი დგას და უცდის.

პინგვინებმა ხშირად იციან თავმოყრა. ერთ მოგზაურს შორიდან დაუნახავს პინგვინები, რომლებიც ადამიანებივით ესალმებოდნენ და თავს უკრავდნენ ერთმანეთს.

მეტად საინტერესოა პინგვინების ცხოვრება. აი, მოისმინეთ:

პინგვინი ორ კვერცხზე მეტს არ დებს და რვა კვირა ზის ბუდეში, მაგრამ განა ისეთ ბუდეში, როგორიც ჩვენ წარმოგვიდგენია! ისინი ერთ მყუდრო, ჩაღრმავებულ ადგილს ამოარჩევენ ხოლმე ყინულზე. დედალ-მამალი პინგვინი მორიგეობით იდებს ფრთების ქვეშ კვერცხებს და ასე ათბობს. გარშემო მუდამ რამდენიმე პინგვინი უტრიალებთ. თუ კვერცხები არა აქვთ, ყინულის ნატეხს ან კენჭს ამოიდებენ ფრთის ქვეშ და თავს ისე გვაჩვენებენ, თითქოს კვერცხი გვაქვსო. საკმარისია, პინგვინს ნამდვილი



კვერცხი გაუვარდეს, რომ მისი მეზობელი მყისვე გადააგდებს ყინულის ნატეხს და კვერცხს დაეპატრონება.

აი, გამოიჩეკა პაწია პინგვინი; ახლა იწყება მთელი ორომტრიალი მის გარშემო. კვერცხის ნაჭუჭს დიდი პინგვინები მაშინვე გადაყლაპავენ, მერე ბარტყს შემოეხვევიან გარშემო და ყველა ცდილობს ზრუნვა გამოიჩინოს, მიუალერსოს მას. პინგვინებს ხომ ძალიან უყვართ პატარები! იწყება გაწევ-გამოწევა, რაც ხშირად ნამდვილ ჩხუბში გადადის და პატარა პინგვინის დაღუპვითაც მთავრდება.

პატარებს კარგი მადა აქვთ და დედმამა ვერ აუდის მათ გამოკვებას. ამიტომ პინგვინებს „საბავშვო ბაღები" აქვთ. საკვირველია, არა?! შეჰკრებენ ათიოდე პატარა პინგვინს და მიუჩენებენ ხოლმე საგანგებო მეთვალყურეებს—„აღმზრდელებს". ისინი უთვალთვალებენ პატარების ქცევას, მოუწოდებენ წესრიგისაკენ ფრთების ფართხუნით და, თუ არ დაუჯერეს, ნისკარტსაც უთავაზებენ.

ამასობაში მშობლები საჭმელს უზიდავენ თავიანთ ბარტყებს, რომლებიც დიდი ღორმუცელები არიან. ასე მაგალითად, თუ ახლად გამოჩეკილი ბარტყი

წონით ასი გრამია, მეთორმეტე დღეზე მათი წონა უკვე ათას ორას გრამს აღწევს.

პინგვინებს მუსიკა უყვართ. საკმარისია, ყინულზე გამოიტანოთ პატეფონი და დაუკრათ, რომ ისინი მაშინვე მოიყრიან თავს. განსაკუთრებით ვალსის ხმა მოსწონთ თურმე!

აი, რა დღე დააყარეს ერთხელ ჩვენი გემის ორკესტრს პინგვინებმა. საბჭოთა გემის მეზღვაურებმა პინგვინები რომ დაინახეს, მუსიკოსებს სთხოვეს, ვალსი დაუკარითო. მუსიკის გაგონებაზე ისინი ხელდახელ დამწკრივდნენ და მოსასმენად მოემზადნენ. დამთავრდა თუ არა შტრაუსის ვალსი, პინგვინებმა „ტაში" — ფრთების ფართხუნი ატეხეს და მანამ არ გაჩერდნენ, ვიდრე ორკესტრმა ახლა სხვა ვალსი არ დაუკრა. ორკესტრი იძულებული იყო განუწყვეტლივ დაეკრა ვალსები, რადგან პინგვინებს არ ბეზრდებოდათ მუსიკის მოსმენა.

ბოლოს დაღლილი ორკესტრანტები გაექცნენ ამ საოცარ მსმენელებს! პინგვინებმა კიდევ დიდხანს აფართხუნეს ფრთები, დამკვრელებს ეპატიჟებოდნენ, მაგრამ ვერაფერს გახდნენ.

ალბათ იცით, რომ ვეშაპებზე მონა-

ეროვნული ბიბლიოთეკა



დირე ჩვენი გემები ხშირად დადიან სამხრეთში— ანტარქტიკაში. ერთხელ გემს „სლავას“ ეწვია პინგვინი, რომელიც არავის არ აქცევდა ყურადღებას, არხეინად დადიოდა გემბანზე, ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდა და ფეხებში ედებოდა მეზღვაურებს.

პინგვინი გემბანიდან გააძევეს, რომ მუშაობაში ხელი არ შეეშალა. ცოტახნის შემდეგ პინგვინი კვლავ ავიდა გემბანზე და მედიდურად დაიწყო სიარული. მას მეზღვაურებისა სრულიად არ ეშინოდა, ნებას აძლევდა მოფერებოდნენ, სამაგიეროდ კატა და ძაღლები არ მოეწონა. ძაღლ პალმას ისე ძლიერ ჩასცხო ნისკარტი თავში, რომ საწყალი ძაღლი მთელ დღეს წკმუტუნებდა ტკივილისაგან.

გემ „სლავაზე“ მეზღვაურებს ჰყავდათ დიდი მამალი. გემზე პინგვინი რომ ავიდა, მეზღვაურებმა მაშინვე დაავლეს ხელი და მამალთან შესახვედრად წაიყვანეს. პინგვინმა ზედაც არ შეხედა მამალს, სამაგიეროდ მამალი გაიფხორა, ისკუპა და პინგვინს რამდენიმეჯერ ჩაუნისკარტა თავში. პინგვინმა არც ამჯერად მიაქცია ყურადღება. როცა მამალმა კიდევ ჩასცხო და ჩასცხო ნისკარტი, მაშინ კი მოთმინებიდან გამოვიდა, უცბად დაისისინა და თავისი გრძელი ნისკარტი რამდენჯერმე ჩაარტყა მამალს. მამალი გაიქცა. პინგვინი როდი გაეკიდა შერცხვენილ მამალს. კვლავ მედიდურად იდგა გემბანზე და დინჯად შეჰყურებდა მეზღვაურებს, რომლებიც გულიანად ხარხარებდნენ. ასე დამთავრდა პინგვინისა და დეზებიანი მამლის გაცნობა.



„სლავას“ ფლოტილიამ ბევრი პინგვინი ჩამოიყვანა სამშობლოში და ზოოპარკებში ჩამოარიგა. ყველაზე მეტი პინგვინი კი მხეცების ცნობილ მწვრთნელს ვლადიმერ დუროვს ერგო.

თუ თქვენ მეზღვაურობა გაგიტაცებთ და შორეულ ზღვებში იმოგზაურებთ, საკუთარი თვალით ნახავთ პინგვინებს და მათი საოცარი ქცევის მოწმენი გახდებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა



თინათინ კვირიკაძე

## განა მარტო ამ დილას

განა მარტო ამ დილას,
სულ ყოველდღე ასეა:
მისი ჩანთა წიგნებით,
რვეულებით სავსეა.
მაგრამ ვერსად უნახავთ
ფანქარსა და კალმისტარს.
სხვები მიკარგავენო,—
გაიმართლებს თავისთავს.
კლასი წერას რომ იწყებს,
მხოლოდ მაშინ ღონდება.
სახაზავიც, მელანიც
იმ დროს მოაგონდება.
გაკვეთილზე ხელს უშლის
ხან იმას და ხან ამას,
ფერად ფანქრებს გოგის თხოვს,
სამელნეს კი—მანანას.

## ნეტავ რატომ?

იშვიათად, თვეში ერთხელ
მოდიოდა ჩვენთან ნატო.
დღეს კი სამჯერ მოირბინა,
ნეტავ რატომ?
ახლა მივხვდი, რად არ სურდა
თავის სახლში გაჩერება:
კაბა ეცვა ახალი და
შემოირბენდა საჩვენებლად.





ქოთი წივილ-კივილია,
აღარავინ დაგვრჩით შინა,
ვფიქრობთ: ნანა ან წაიქცა,
ანდა ძაღლმა დაგვიშინა.
ვნახეთ, თურმე თავსა ბანდნენ...
აი, როგორ შეგვარცხვინა!



# ფერადი

ოთარ მალამბარიძე

## დიდია თუ პატარა?

ყველა ტუქსავს, ყველა არცხვენს,
დილაა თუ ბინდია:
დასჭირდება — პატარაა,
დასჭირდება — დიდია.

— თამაზ, წყალი მომიტანე,
ნუ ხარ აგრე ზარმაცი.
— დედა, ჯერ ხომ პატარა ვარ?—
თავს იმართლებს თამაზი.

მომცრო თეფში რომ დაუდგეს,
იყვირა და იყვირა:
— დიდი თეფში შემირჩიეთ,
მე ხომ უკვე დიდი ვარ?..

რა ქნას, აღარ შეუძლია
დედას მისი ატანა:
თქვით, ბავშვებო, ეს ყმაწვილი
დიდია თუ პატარა?!



მიხო ჭიჭინაძე

∴

კედელზე ბადეს გააბამს
და დაუდგება დარაჯად.
ბრძოლისთვის როდი სჭირდება
ხმალი, ფარი და ფარაჯა.

ზარიელ ხაეთასი

∴

ხელი ოდნავ რომ შეახო,
გადაიხრება ცერად,
იმისი ტყუილ-მართალი
დიდს და პატარას სჯერა.

## ღამურა

«ლატვიური ლეგენდა»

იყო დრო, როცა ღამურა დღისითაც დაფრინავდა. ერთხელ ფრენის დროს მიმინო წააწყდა.

— აჰა, როგორც იქნა გამოჩნდი. სამი წელია, დაგეძებ: ყველა ფრინველმა გადამიხადა ხარკი და ვალი მარტო შენზეა დარჩენილი.

— ჩემზე? განა მე ფრინველების რიცხვში მთვლით?— გაიკვირვა ღამურამ, გულის ფანცქალით დაეშვა მიწაზე და ბუჩქებში მიიმალა.

ღამურას ახლა მელა შემოეყარა.

— ჰეი, შე წრუწუნავ, რომ მემალები, გგონია, ვერ გიპოვი! მეექვსე წელია, შენი ძებნით დავიღალე!— მიაძახა მელამ.— ყველა მხეცმა დიდი ხანია ვალი გადამიხადა, სულ ქორფა ვარიებით მიმასპინძლდებიან, შენ კი ერთი წიწილაც არ მოგირთმევია ჩემთვის.

— არა, ბატონო, მე ხომ მხეცი არა ვარ. აი, თუ არა გჯერათ, კარგად დამაკვირდით,— მიუგო ღამურამ, ფრთები გაისწორა და გაფრინდა.

იმ დღის შემდეგ შეშინებული ღამურა ვეღარც დღისით ბედავს ფრენას და ვეღარც მიწაზე აკარებს ფეხს.— მოვალეები არ შემხვდნენო. ამიტომ ღამ-ღამობით გაიფრთხიალებს ჰაერში, საჭმლის საშოვრად.

გადმოაკეთა რ. თავდიდიშვილმა



# ფერადი

ვახტანგ კახაძე

დედა საწოლთან ჩამოუჯდა ანიკოს და უთხრა:

— ბაიაკამ დაიძინა, ხოხოლამ დაიძინა, მამლაყინწამ დაიძინა, შენ კი არ იძინებ და არა. უკვე დროა, შენც დაიძინო, თორემ ხვალ მთქნარებას რომ მოჰყვები, შენი მეგობრები ხომ დაგცინებენ!

ამ სიტყვებზე ანიკო კედლისაკენ გადაბრუნდა და მალე ჩაეძინა კიდეც. აბა კი რა უნდა ექნა... კარგად გამოძინებულ ხოხოლასთან მართლაც მთქნარება რომ აეტეხოდა, ხომ შერცხვებოდა?



ბარდია ბერიაშვილი

∴

ზეინაბს სურს ისწავლოს
ყაისნაღის ხმარება,
ლამაზ წინდებს მოქსოვს და
ბებოს მიეხმარება.

ჯანსუღ ჩარკვიანი

## წერილი

სუფთა წერა — „ხუთი“,
არითმეტიკა — „ხუთი“.
ახლა შინ და ბებოს
დიდ მოუთხრობს უთუოდ:
„ვიცი ბევრი ლექსი,
მოთხრობებიც ვიცი,
მამა ასე ამბობს:
— გაარჩიე ხელით კალამი!“
...მაგრამ მამამ უთხრა
სუფთა წერის ისტორიას:
— ამ დათხუპნილ წერილს
ვერ მალავენ ფურცლები!...

## კნუტი



**დეიდა:** — აქ რომ ამას წინათ კნუტი ვნახე, ნეტავ რა იქნა?
**დისშვილი:** — რა, არ იცით?
**დეიდა:** — არაფერი არ ვიცი, მოკვდა?
**დისშვილი:** — არა, არ მომკვდარა.
**დეიდა:** — გაიქცა?
**დისშვილი:** — ოჰ, არა!
**დეიდა:** — სხვას მიეცით?
**დისშვილი:** — არა, არ მიგვიცია.
**დეიდა:** — კარგი, მაშ რა მოუვიდა?
**დისშვილი:** — დიდი კატა გახდა.

ინგლისურიდან თარგმნა **მეგი ვაჩეიშვილმა.**

ნახატები **ირ. არდიშვილისა**

ეროვნული
ბიბლიოთეკა




სცენა წარმოადგენს ტყეს. ზამთარია.

**ც ი ყ ვ ი** —თოვლი მოდის, თოვლი ცვივა,
სულ ზარ მცივა, სულ არ მცივა.
რა კარგია ტყეში ახლა,
(დათვს) იმ გორაკზე წამო მაღლა.

**დ ა თ ვ ი** —მეზარება თავის დაღლა...

**ც ი ყ ვ ი** —რის დაღლაო, რა თქვი, დათო,
წამომყევი, ნუ ზარმაცობ,
აბა, შეხე, კოხტა ციგით
ვისრიალოთ და ვიანცოთ.

**დ ა თ ვ ი** —არა, არა... ჯერ დათოვოს,
მიწა არსად არ დატოვოს,
შემდეგ ლხენით და სიმღერით
შემოვძახოთ ჰერი, ჰერი!
მერე წავალ ჩემს ბუნაგში,
ზამთარს ძილში გავატარებ,
გაზაფხულზე გავიღვიძებ,
ჩემს პატარებს გავახარებ.

**ც ი ყ ვ ი** —მართლა, სად გყავს პატარები?

**დ ა თ ვ ი** —იქ, ბუნაგში, რბილად, თბილად,
ჩაეხუტნენ ერთმანეთს და
უკვე სძინავთ არხეინად.

(შემორბიან ბელები)

**1-ლი ბელი**—დედა, დედიკო!..

**2-რე ბელი** —სადა ხარ?
გეძებთ რამდენი ხანია.

**1-ლი ბელი**—ისე დავტოვეთ ბუნაგი,
პირიც არ დაგვიბანია.

**დ ა თ ვ ი** —რაო, რა მოხდა, მითხარი?

**2-რე ბელი** —მგელი მოგვიხტა ღრიალით,

**1-ლი ბელი**—ფეხები დაგვიბაკუნა,

**2-რე ბელი** —თვალები დაგვიბრიალა!..

**1-ლი ბელი**—თქვა: ჩემთან ვერას გახდებით,
ძალადობით და ფანდითო,

**2-რე ბელი** —ეს ბინა ჩემი არის და
ახლავე გარეთ გადითო.

**1-ლი ბელი**—მელიაც ახლდა. თან გვცემეს,

**2-რე ბელი** —და გამოგვყარეს გარეთ.

**1-ლი ბელი**—შეხედე, (ყურს აჩვენებს) მგელმა
მიკბინა (ატირდება),

**2-რე ბელი** —მეც თვალი მეწვის მწარედ.
(ატიოდება)

**დ ა თ ვ ი** —სუ, კარგი, ჩუმად, ნუ სტირით.
(ციყვს) გესმის, რა ჩაუდენია?
ერთს თვალი დაუზიანა,
მეორე დაუკბენია.
ციყვო, წამომყე, ძმობილო,
ჩქარა, ციგაზე დასხედით,
არ შევარჩინოთ იმ ქურდებს
ეგ თავხედობა ასეთი!
(ციყვი და ბელები ციგაზე სხდებიან, დათვი შიგ შეებმება და მიჰყავს)

ფ ა რ დ ა

## სურათი მეორე

ბუნაგი ტყეში. მგელი და მელია სჭამენ და თან მღერიან.

**მგელი და**
**მელია**—იფ-იფ, იფ-იფ, რა კარგია
და რა გემრიელია,
დავნავარდობთ, ერთადა ვართ
მგელუკა და მელია...
იფ-იფ, იფ-იფ, რა კარგია
და რა გემრიელია,
ერთი კოხტად დავუაროთ,
მგელუკავ და მელიავ.
(ცეკვავენ. შემოდიან დათვი, ციყვი და ბელები).

**დ ა თ ვ ი** —ერთი ამათ დამიხედეთ!

**ც ი ყ ვ ი** —დაუკარით ტაშია!

**მ გ ე ლ ი** —ოჰ, მობრძანდით, დაგვეწვიეთ!..

**მ ე ლ ი ა** —სიმართლე თქვით, არ გშიათ?

**დ ა თ ვ ი** —დროს ატარებთ ნაქურდალით?

**ბ ე ლ ე ბ ი** —რატომ გვცემეთ, ცუდებო?

**დ ა თ ვ ი** —(ბელებს) თქვენ გაჩერდით...
ბინა გნებავთ?

**ც ი ყ ვ ი** —წუწკებო და ქურდებო!

**დ ა თ ვ ი** —ამ ჩემს ბელებს რას ერჩოდით,
ძალა სცადეთ თათების?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ახლა ჩემთან საჭიდაოდ
აქვე გამობრძანდებით!
ბ ე ლ ე ბ ი —ეშინიათ...
დ ა თ ვ ი —გაპარვა გსურთ?
ვერსად წახვალთ, მოიცათ...
(ჯერ მგელს წააქცევს, მერე მელიას ზევიდან დააწვენს. ციყვს და ბელებს უხარიათ).
ჰა, შვილებო, ბუთხუზებო,
ჩქარა თოკი მოიტათ!
(ბელებს თოკი მოაქვთ, დათვი მგელსა და მელიას კრავს)
მ გ ე ლ ი —ვაი, თავი!
მ ე ლ ი ა —ვაი, თათი!
ც ი ყ ვ ი —რა გეტკინათ, თათები?
ღირსიცა ხართ, იმიტომ რომ
მოძალადე ბრძანდებით.
(შემოდის ყურშა კოშინით)
ყ უ რ შ ა —ეჰ, ეჰ! როგორ დავიღალე,
ძლივს მოვაგენ მათ ბუდეს.
დ ა თ ვ ი —რაო, ყურშა, ამათ ეძებ?
ყ უ რ შ ა —ჩვენი ფერმა გაქურდეს.
არც ერთ წიწილს, არც ჰუკს,
არც იხვს
გაზრდა აღარ აცალეს...
ყოველ ღამე მოძვრებიან,
ერთიანად გაგვცალეს.
დ ა თ ვ ი —ჩემი ბინაც მოინდომეს,
იქ იყოფდნენ ნაქურდალს...

ც ი ყ ვ ი —სხვის ხარჯზე სურთ რომ იცხოვრონ,
არ ეძებენ საკუთარს.
1-ლი ბელი—დედა, ამათ რას უპირებ?
დ ა თ ვ ი —ხევში გადავაგორებ!
მ ე ლ ი ა —ასეთ სიტყვებს, დათუნია,
გთხოვ, რომ ნუ გამაგონებ!
მ გ ე ლ ი —ვაი, ვაი...
1-ლი ბელი—ეგეც შენა!
2-რე ბელი—მოუხდებათ, დედილო...
ყ უ რ შ ა —დათუნია, ეგ ქურდები
მე დამითმე, ძმობილო.
ამ ციგაზე დააკარით
მელიაც და მგელიც,
რომ ორივეს იქ, ხალხის წინ
გამოვლადრო ყელი...
(მგელსა და მელიას ციგაზე აკრავენ. ყურშა ციგაში შეებმება)
ყ უ რ შ ა —გმადლობთ, დათო!
ც ი ყ ვ ი —ჩემი ციგა?
ყ უ რ შ ა —დაგიბრუნებ, მაცალე!
მაშ მივდივარ...
დ ა თ ვ ი —გასწი, ყურშავ!
ც ი ყ ვ ი —გასწი, შენ გენაცვალე!
მ გ ე ლ ი —ვაი, ვაი...
მ ე ლ ი ა —ჩვენი ბრალი!..
დ ა თ ვ ი —(ყურშას) გასწი, ლამაზთვალებავ!
ყ უ რ შ ა —წუწკი, ქურდი, გაიძვერა
ვერსად დაგვემალება! (მიდის)

ფ ა რ დ ა

ნახატები ი. გაბაშვილისა

7269





# საახალწლო სათამაშოები

მხატვარი ნინო ბრაილაშვილი

შენ თვითონ გააკეთე!

აი, ჩემი ნახელავი: „ახალი წელი"—ბაბილა, ბაბუა ქიტესა, ფისუნია და მატკანი—თეთრა.

ბაბილას თავი რომ გააკეთო, აბრეშუმის პარკს ბოლოები წააჭერი. ერთი—პირისახე იქნება, მეორე კი—კეფა. ერთს შუაში ცხვირად პარკების პაწაწინა მრგვალი ნაჭერი მიაკერე, თვალებად კი ასანთის ღერის თავები ჩაუმაგრე, პირი წითელი ძაფით გაუკეთე, წითელი ფანქარი დაფხეკე, ასანთზე დახვეული ბამბა ამოსვარე და ლოყები შეუღებე.

სახე უკვე მზად არის; ახლა პარკების მეორე ბოლო აიღე, ნაპირი ჩამოჭრილ ადგილას ჩაჭერი, ხელი რომ მოუჭირო—მოგიწოლდეს და სახის პარკეში შეჯდეს. მზადაა ბაბილას თავი.

ახლა მეორე პარკებს წააჭერი თავი. ამით ნაბადის ქუდი გამოგივა: ფრჩხილით ცა ჩაუკეცე და ცაზე წითელი ძაფით ჯვარედინი ნაზი გადაავლე; მეორე თარგით ხელები და ფეხსაცმელი გამოჭერი, ფეხებად ორი პაწაწინა პარკები მოიტანე. მუცლად მოზრდილი პარკის თავი აიღე. მკერდად კი—მომცრო პარკის ნახევარი გადაჭერი. ეს ქვედატანი უნდა ორ ძაფზე აასხა; ნემსზე ჯერ ფეხსაცმელი ჩამოაგე, მერე—ფეხი, მეორე ძაფზეც მეორე ფეხსაცმელი და ფეხი. ეს ორივე ძაფი ცალ-ცალკე ააცვი მუცელში, მკერდში, მხრებში და თავში, თავზე გარეთ ერთმანეთზე გადაანასკვე და ზემოდან ქუდი დაახურე. ფეხები ერთმანეთზე მიაწებე და სხვა ძაფით მიაკერე, რომ არ წაიქცეს. ფეხსაცმლის ძირები პლასტილინით, სანთლით ან ცომით დაუმძიმე.

ბაბუასაც ასე გააკეთებ უფრო დიდი პარკებისაგან, ოღონდ აბრეშუმისავე პარკის ნაჭრიდან მაგრად დახვეული და შეკერილი მოგრძო და წითელი ცხვირი უნდა. წვერებად ბუმბულისა აბრეშუმის ძაფი ძალიან უხდება; თუ ეს ხელთ არ გაქვს, მაშინ პარკების მოგრძო რომ ლურჯისფერი გარსი არის, ის გაწეწე. ისიც გამოდგება. ხარქურების გულად კი ზურგზე ისევ თავწაჭრილი აბრეშუმის პარკი წამოაცვი.

ფისუნიაც ასევე კეთდება, ოღონდ თვალის ფუფქით ეჭვსხნებიანი ყურები ადგას თავზე. აი მისი თარგიც. ერთი პარკისაგან გამოიჭრება.

მატკნის გაკეთება უფრო ძნელია, მაგრამ თუ გეხალისება, სცადე.











თუ აბრეშუმის პარკი არა გაქვს, სათამაშოები შეგიძლია საცობისაგან დაამზადო.

საცობის სათამაშოების გასაკეთებლად დანა, ჭიპიხანი და წებოა საჭირო; მაგრამ საცობები წინასწარ უნდა გამოხარშო დუღდულ ქვაბში, ნუთოლდე წუთის დუღილის შემდეგ საცობი გალღვება, გაფუვდება და სწორხელაპირიანი გახდება.

ეს ტყუპი გოგონები, საახალწლო ბაბუა და ისეთის პუპულიც ჩემი ნახელავია.

გოგონას თავი პატარა თხელი საცობისაგან გამოჭერი, ჭიპიხანით გაქლიბე და ბურთივით დაამრგვალე. ცხვირად საცობისავე პატარა ბურთულა მიაწებე, თვალებად კი ასანთის თავები ჩაუსვი. პირის ადგილზე პაწაწინა წითელი სამკუთხა ქაღალდი მიაკარი და ლოყები წითელი ფანქრის ფხვნილით შეუღებე.

ტანი დიდი საცობისაგან გამოქლიბე, მხრებვიწრო და ბოლოგანიერი. მეორე საცობი სამად ჩაჭერი: შუა ნაწილიდან ორი ფეხი გამოიყვანე. ნაპირებიდან კი ორი ხელი გააკეთე: ორი ფეხსაცმელიც გამოჭერი და ჭიპიხნით კარგად გადააგლუვე.

როდესაც ყველაფერი მოამზადე, თავი და ტანი ორ ადგილას ნემსით გაუხვრიტე. მოლუნული სპილენძის მავთული ჩაუყარე, ერთი წვერი ერთ ფეხში და მეორე-მეორე ფეხში გაატარე და ფეხსაცმლებიც შეაცვი, ბოლოები მოუკეცე და ისე დაამაგრე. შემდეგ თმებად ორ თითზე აბრეშუმის ძაფი დაახვიე, თითებიდან ფრთხილად წაიძრე. შუაზე ძაფი გადაახვიე. გაკეთდა თმა, რომ გამოხვეული და გოგონას წებოწასმულ თავზე დააწებე. ბაფთა და წინდები—წითელი, ხოლო საყელო—თეთრი ქაღალდისაგან გამოჭერი, თასმები კი—ტყავისაგან და თავთავის ადგილზე მიაწებე.

საახალწლო ბაბუა უფრო დიდი საცობებისაგან კეთდება. აი თარგიც. წარბები და წვერ-ულვაში მატყლის ძველი წინდის ნარჩენებისაგან მიაწებე. ბაბუას ერთი მაგივრად მუცლის შეერთება, ოღონდ ფეხსაცმლები ქვემოდან ქინძისთავებით მიაჭედე.

თარგის გადაღება: ფანქრით კარგად გაამუქე ქაღალდი, დაამაგრე სუფთა ქაღალდზე. ეს ორივე შეაერთე ნახატის ქვეშ და წვერწათლილი ასანთის ღერით შემოუარე ნახატს.



ეროვნული ბიბლიოთეკა



ყდის მხატვრობა ეკუთვნის რ. ცუცქირიძეს.

რედაქტორი იოსებ ნონეშვილი. სარედაქციო კოლეგია: ი. გრიშაშვილი, კ. გოგიაშვილი, მაყვალა მრევლიშვილი (რედაქტორის მოადგილე), ი. სიხარულიძე, ნ. უნაფქოშვილი, შ. ცხადაძე (სამხატვრო რედაქტორი) გამოცემის ოცდამეათე წელი ფასი 2 მან.

Д И Л А—ежемесячный детский журнал ЦК ЛКСМ Грузии № 12, Декабрь. 1957 г. Тбилиси, Просп. Плеханова 91.

საბლიტგამი, რედაქციის მისამართი: თბილისი, პლეხანოვის პროსპ. 91, ტელ. 3-37-38. გამომც. შეკვ. № 597, სტამბის შეკვ. № 2151
ტირაჟი 18000 უე 03756 ხელმოწერილია დასაბეჭდად 22/XI 1957 წ. ჟურნალი დაბეჭდილია ლითო-ოფსეტურ ბეჭდვის ფაბრიკაში